



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №391  
2022 წლის 22 დეკემბერი  
ქ. მცხეთა



მცხეთის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით” გათვალისწინებული ასიგნებიდან  
დარჩენილი თანხით ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის ვოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების“ პირველი მუხლის მე-12 პუნქტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მომართვის (№34-3422346164. 12.12.2022) საფუძველზე,

1. მცხეთის მუნიციპალიტეტში „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 05 თებერვლის #168 განკარგულების საფუძველზე, გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 3168 ლარი და 57 თეთრი მილიმეტრის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალ ნიჩბისში სკვერის (ს.კ. 72.15.07.147) მიმდებარედ არსებული სასმელი წყაროს (ე.წ „რეზოს წყარო“) მოწყობა/რეაბილიტაციის განსახორციელებლად.
2. განკარგულების შესახებ ეცნობოს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიმლება, გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: მცხეთა, სამხედროს ქ №17.

საკრებულოს თავმჯდომარე  
გიორგი ელოშვილი

